ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7031153

ნომერი: AR11032713

თარიღი : 30.04.2024

გაცემის თარიღი : 20.05.2024

გაცნობის თარიღი : 20.05.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 30 აპრილს №AR11032713 განცხადებით მომართა პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 29 აპრილის №7006921 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში. სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი

მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6688693 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.12.015.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ,,ა" ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 02 ოქტომბრიდან 2024 წლის 02 მაისის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 29 აპრილის №7006921 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 02 ოქტომბრის №6688693 ბრძანებაში და გაგრძელდა მშენებლობის ვადა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 29 აპრილის №7006921 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ წარმოდგენილ მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში შეთანხმებულთან მიმართებით შეცვლილია (გაზრდილია) შესასრულებელი სამუშაოების ვადები, რაც არ არის მისაღები და შესაბამისად არ წარმოადგენს სამსახურის 2024 წლის 29 აპრილის №7006921 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების სამართლებრივ საფუძველს.
განგიმარტავთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გსურთ სამსახურის 2024 წლის 29 აპრილის №7006921 ბრძანებაში ცვლილების შეტანა მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით განცხადება შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ სამსახურის ოფიციალურ ვებ.გვერდზე (www.tas.ge), შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები - მშენებლობის ნებართვა - საცხოვრებელი ობიექტები - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და განსაზღვროთ შენობის პარამეტრები, ქმედებებში აირჩიოთ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, ხოლო ქვექმედებებში - ვადაგაუსვლელი. განცხადების დარეგისტრირებისას პროგრამა pdf ფაილის სახით ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხას. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე და პასუხი გეცნობებათ კანონით დადგენილ ვადაში.
გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.